

დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-20 03.05.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის  
დებულება

ნდ №2-010301-07

ბათუმი

2023



## შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები .....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 2. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის საქმიანობა .....	4
მუხლი 3. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ფუნქციები .....	4
მუხლი 4. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის მსმენელი .....	4
მუხლი 5. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი .....	4
მუხლი 6. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის პერსონალი .....	5
მუხლი 7. უფლებები და პასუხისმგებლობები .....	6
მუხლი 8. დასკვნითი დებულებები .....	6

### პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ნორმატიული დოკუმენტია;
2. დებულება:
  1. შემუშავებულია ბნსუ-ს იურისტის მიერ;
  2. დამტკიცებულია ბნსუ-ს რექტორის მიერ;
  3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
  1. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელის და პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში).
5. დებულება ინახება:
  1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
  2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
  3. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრში (ელ.ვერსია).
6. ნორმატიული საფუძველი:
  1. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
  2. საზღვაო დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო კონვენცია STCW-95 და სხვ.;
  3. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
  4. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
  5. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
  6. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

### ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამომხატველი ერთეული;
- სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბნსუ-ს საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იქმნება ბნსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-განვითარების და მეზღვაურთა მომზადება-გადამზადების მიზნით;
2. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო კონვენციის STCW-95, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015, საქართველოს კანონის მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ, მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და ხელმძღვანელობს ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და რექტორის განკარგულებით.

### მუხლი 2. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის საქმიანობა

1. ცენტრი ახორციელებს საზღვაო სფეროს უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული განათლების საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების სწავლებას;
2. ცენტრი ასრულებს ყველა კატეგორიის მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებას დამტკიცებული კურსების შესაბამისად, პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამას საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მოთხოვნის მიხედვით სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარებას, პროფესიული მომზადების პროგრამას (კურსების მიხედვით), მეზღვაურთა წვრთნის, მომზადებისა და გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) პროგრამას;
3. ცენტრში განხორციელებული სასწავლო-საწვრთნელი პროგრამები მოიცავენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციების სტანდარტით დადგენილ ძირითად ნაწილს (სავალდებულო მინიმუმს), ამასთან, შეიძლება მოიცავდეს დამატებით ნაწილსაც.

### მუხლი 3. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ფუნქციები

1. ცენტრი უზრუნველყოფს:
  - ბნსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას;
  - ყველა კატეგორიის მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებას დამტკიცებული კურსების მიხედვით საერთაშორისო კონვენციის STCW-95, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“ საქართველოს კანონის, საზღვაო სფეროში მოქმედი საქართველოს და საერთაშორისო ნორმატიული აქტების/დოკუმენტების შესაბამისად;
  - მეზღვაურთა გადამზადების კურსების მსმენელთა სიის მომზადებას და რექტორთან დასამტკიცებლად წარდგენას, დოკუმენტაციის მომზადებას მსმენელთა მიერ კურსების გავლის შემდეგ;
  - ცენტრში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების დაცვას ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესაბამისად;
  - ცენტრში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და სერტიფიცირების სამუშაოებს
2. ცენტრი ახორციელებს:
  - უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული განათლების საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საქმიანობას;
  - სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მომზადება-გადამზადებას და წვრთნებს საერთაშორისო საზღვაო სტანდარტებისა და საქართველოს ნორმატიული აქტებით დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, მომზადების-გადამზადების მსმენელებისათვის სერტიფიკატების და რეკომენდაციის გაცემას საქართველოს ნორმატიული აქტებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით;
3. ცენტრი უფლებამოსილია დაამყაროს კავშირები საზღვაო სფეროში მოქმედ უცხოეთის ქვეყნების დაწესებულებებთან/კომპანიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განხორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობა, რომელიც ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს;
4. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხელშეწყობის მიზნით ცენტრში შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ნებაყოფილობითი გაერთიანებები, კლუბები;
5. ცენტრი პასუხს აგებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე და გაცემულ დოკუმენტებზე.

### მუხლი 4. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის მსმენელები

1. ცენტრში მსმენელებად დადგენილი წესით მიიღებიან საქართველოს და უცხოეთის მოქალაქენი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საზღვაო განათლება და გადაიხდიან მომზადება-გადამზადების და წვრთნის საფასურს;
2. ცენტრში ჩარიცხულ პირს უფლება აქვს გაიაროს წვრთნა და გადამზადება პროგრამების შესაბამისად სერტიფიცირებისათვის.

### მუხლი 5. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი

1. ცენტრის ხელმძღვანელობს ტრენინგ-მენეჯერი, რომელსაც კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ბნსუ-ს რექტორი. ტრენინგ-მენეჯერს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება საზღვაო სფეროში და ანალოგიური ფუნქციების მქონე სამსახურში მუშაობის/ანალოგიური მოვალეობის შესრულების არანაკლებ 01 წლის გამოცდილება ან უფროს-სამეთაურო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 03 წლის გამოცდილება. ბნსუ უფლებამოსილია დააზუსტოს მითითებული მოთხოვნა და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. ტრენინგ-მენეჯერს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
  - შეაფასოს არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და წინადადებები და დააყენოს საკითხი რექტორთან ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
  - მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება ცენტრის საქმიანობას;
  - გასცეს განკარგულება, მისცეს მითითება და რეკომენდაცია მის დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს.
3. ტრენინგ-მენეჯერი ვალდებულია:
  - უზრუნველყოს ცენტრის გამართული მუშაობა და ცენტრის ფუნქციების შესრულება;
  - განსაზღვროს ცენტრში მიღების წესები;
  - აკონტროლოს ცენტრის პერსონალის მიერ სასწავლო პროგრამების მომზადება, რომლის დამტკიცება ხდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
  - რექტორთან შეთანხმებით დაამყაროს ურთიერთობა დარგობრივ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

- რექტორთან შეთანხმებით დაადგინოს სპეციალობები, მისაღები კონტიგენტის რაოდენობა მოდელ-კურსების შესაბამისად, მოიწვიოს შეთავსებით პედაგოგები/სხვ.;
- უხელმძღვანელოს ცენტრის მუშაობას;
- გააცნოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალს ცენტრის ფუნქციები, ხარისხის სფეროში არსებული პოლიტიკა, მიზნები და ვალდებულებები;
- უზრუნველყოს ცენტრის პერსონალის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
- უზრუნველყოს ცენტრისათვის მომზადებული დოკუმენტის დროული და ხარისხიანი შესრულება;
- ორგანიზება გაუწიოს საქმედების და დოკუმენტების პერიოდულ შემოწმებას;
- ორგანიზება გაუწიოს სამუშაოებს დადგენილ მოთხოვნათა შეუსაბამობის გამოსავლენად, ეფექტური მაკორექტირებელი მოქმედებების განსახორციელებლად, მათ შესასრულებლად და გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყოს ცენტრის მომზადება და წარდგენა ბნსუ-ს და გარე აუდიტორების მიერ ხარისხის სისტემის შესამოწმებლად;
- წარადგინოს ანგარიში ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებით რექტორთან.

4. ტრენინგ-მენეჯერი პასუხისმგებელია:

- ცენტრის მუშაობაზე, შრომითი დისციპლინის დაცვაზე, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე;
- გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრაზე.
- ISO 9001:2015 ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვაზე.

5. ტრენინგ-მენეჯერი:

- წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;
- ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს;
- გეგმავს ძირითად სამუშაოებს ცენტრის ფუნქციების განხორციელებისათვის;
- ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
- თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ ბნსუ-ს შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
- ამზადებს და წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს რექტორის დავალებით;
- რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის პერსონალის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების პირობების, წინამდებარე დებულებაში შესატანი ცვლილებების, ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, ცენტრის თანამშრომლების წახალისების და სხვ. შესახებ;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს იმ მოწყობილობების, ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვ. შექმნაზე/ცენტრისთვის გადაცემაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციის შესასრულებლად;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს;
- ახორციელებს ბნსუ-ს შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, წინამდებარე დებულებით და რექტორის ბრძანებებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს;
- ექვემდებარება რექტორს, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

**მუხლი 5. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის პერსონალი**

1. ცენტრის პერსონალს მიეკუთვნებიან:

- ინსტრუქტორი;
- საწარმოო სწავლების ოსტატი (ინსტრუქტორი), რომლებიც წარმართავენ სასწავლო წვრთნის პროცესს;
- ცენტრის თანამშრომლები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც უზრუნველყოფენ ცენტრის ფუნქციონირებას.

2. ცენტრის ინსტრუქტორები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით ბნსუ-ს რექტორის მიერ. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს და გამოიყენოს დასაქმების პრეტენდენტთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. არაპედაგოგიური განათლების მქონე პერსონალი (შორეული ნაოსნობის კაპიტნები, პირველი თანრიგის მექანიკოსები, სპეცინსტრუქტორები), რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო სერტიფიკატები შესაბამის დარგში, სპეცსაგნების მასწავლებლები და საწარმოო სწავლების ოსტატები (ინსტრუქტორები) სამუშაოზე დანიშნვისას აუცილებელი წესით გადიან მომზადებას პედაგოგიური ცოდნის მინიმუმის მისაღებად. ცენტრის ინსტრუქტორი პერიოდულად გადის ატესტაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საზღვაო განათლება, გემებზე მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი (კაპიტნად, უფროს თანამშემწედ, უფროს მექანიკოსად, ელექტრომექანიკოსად და მეორე მექანიკოსად). ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს: იმ დონის კვალიფიკაცია, რომელზეც ის ასწავლის თუ ამოწმებს; მომზადების პროგრამის და იცოდეს სპეციფიკური მომზადების ამოცანების ცოდნა; მოსამზადებელი სპეციალისტების სწავლების და კომპეტენტურობის შეფასების პრაქტიკული გამოცდილება; კონკრეტული ტიპის ტრენაჟორის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება; ARPA, RADAR, GMDSS, BTM, ETM ტრენაჟორებზე მუშაობისა და სწავლებისათვის სპეციალური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მის კომპეტენტურობას და აძლევს სწავლების უფლებას.

ინსტრუქტორი ვალდებულია: ჩაატაროს მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული სწავლება დამტკიცებული სასწავლო კურსების შესაბამისად; მუდმივად თვალყურს ადევნოს კურსის შესაბამისობას IMO-ის ახალ მოთხოვნებთან და შეიტანოს შესაბამისი შესწორებები; შეასრულოს კურსის ჩატარებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობის შემოწმება; კურსის ჩატარების დაწყებამდე გააცნოს მსმენელები უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს; ჩაატაროს სწავლება ინტერაქტიული სახით, მსმენელებზე ცოდნისა და უნარის გადაცემის ყველა თანამედროვე მეთოდის გამოყენების საშუალებით; კურსის ჩატარებისას დარწმუნდეს მსმენელების მიერ საგნის გაგებაში და სწავლების დროს მიღებული გამოცდილების პრაქტიკული დემონსტრირების შესაძლებლობებში; მონაწილეობა მიიღოს მსმენელთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში; კოორდინატორთან ერთად დააკომპლექტოს კურსების მსმენელთა სასწავლო ჯგუფები; ორგანიზება გაუწიოს და



ჩაატაროს მეთოდური სამუშაო ყველა კურსზე; მოამზადოს მასალები საგამოცდო კომისიის ოქმების გაფორმებისთვის; უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტების მომზადება შესაბამისი სწავლების წარმატებით დამთავრებული მსმენელებისათვის; კურსის დამთავრების შემდეგ ჩაატაროს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების დემონსტრირების შესაძლებლობების შეფასება; მისცეს მსმენელებს შესავსებად უკუკავშირის ბლანკები. საბოლოო დოკუმენტები გადასცეს ცენტრის კოორდინატორს; შეამოწმოს საჭირო წიგნების და დამხმარე სახელმძღვანელოების არსებობა; შეამოწმოს ტრენაჟორის უზრუნველყოფა ყველა საჭირო მოწყობილობით, მასალებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით. შეადგინოს სავარჯიშოები ტრენინგის ჩატარებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეამოწმოს ჟურნალში ჩანაწერების შესაბამისობა სასწავლო პროგრამებთან და კალენდარულ გეგმებთან. ინსტრუქტორი უშუალოდ ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელს-ტრენინგ-მენეჯერს;

3. ცენტრის კოორდინატორი სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით ბნსუ-ს რექტორის მიერ. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს და გამოიყენოს დასაქმების პრეტენდენტთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კოორდინატორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი. კოორდინატორი ვალდებულია: განახორციელოს ცენტრის ზოგადი საქმისწარმოება; მიიღოს განაცხადი სასურველი კურსის სწავლებაზე წერილობითი სახით და შეამოწმოს საჭირო დოკუმენტების არსებობა (სამედიცინო მოწმობა, შესაბამისი კვალიფიკაცია IMO მოდელ კურსის შესაბამისად); შეადგინოს ჯგუფები, მოამზადოს ჟურნალი უკუკავშირის ბლანკები ყველა ჯგუფისათვის და გადასცეს ინსტრუქტორს; შეკრებილი დოკუმენტები და სიები გადასცეს ტრენინგ მენეჯერს შეთანხმებისა და შემოწმების მიზნით; გააგზავნოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კურსების ჩატარების განრიგი და ატესტაციის თარიღი ინფორმაციისათვის; კურსის დამთავრების შემდეგ შეაგროვოს ყველა დოკუმენტაცია უკუკავშირის შედეგების ჩათვლით და განათავსოს მსმენელთა პირად საქმეებში. უკუკავშირის ბლანკები ჩააკრას კურსების მიხედვით ცალკე; მონაწილეობა მიიღოს ქვედანაყოფის ნომენკლატურის შედგენაში; მონაწილეობა მიიღოს ცენტრში არსებული მოქმედი ფორმების შემუშავებაში; უზრუნველყოს ცენტრის საქმიანობაში შექმნილი ჟურნალების წარმოება; უზრუნველყოს ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატების ბეჭდვა და აღრიცხვა; უზრუნველყოს კურსების მსმენელების რეგისტრაცია; უზრუნველყოს მსმენელთა პირადი საქმეების წარმოება; უზრუნველყოს სასერტიფიკაციო კურსების ორგანიზება და ჩატარება; დაესწროს სასერტიფიკაციო გამოცდებს და შეავსოს შესაბამისი დოკუმენტაცია; უზრუნველყოს საგამოცდო ოქმების მომზადება და გაფორმება; უზრუნველყოს მეზღვაურთათვის შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემა და აღრიცხვა; დროულად მიაწოდოს და გააცნოს ცენტრთან დაკავშირებული ბრძანებები პერსონალს; აკონტროლოს ცენტრის პერსონალის მიერ ჟურნალების წარმოება; უზრუნველყოს არქივში გადასაცემი დოკუმენტების მომზადება. ცენტრის კოორდინატორი უშუალოდ ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელს-ტრენინგ-მენეჯერს.

4. ცენტრის ინსტრუქტორის ასისტენტი კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბნსუ-ს რექტორი. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს და გამოიყენოს დასაქმების პრეტენდენტთა შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ცენტრის ინსტრუქტორის ასისტენტის ფუნქციებია მოამზადოს კომპიუტერული ტრენაჟორული მოწყობილობები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად და დახმარება გაუწიოს ინსტრუქტორს პრაქტიკული მეცადინეობის დროს თავის კომპეტენციის ფარგლებში. ინსტრუქტორის ასისტენტი ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელს-ტრენინგ-მენეჯერს.

5. ცენტრის პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), რექტორის და საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი დავალებებით;

6. ცენტრის პერსონალი ანგარიშვალდებულია რექტორის და საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

### მუხლი 6. უფლებები და პასუხისმგებლობები

1. დასაქმებულ პირს აქვს უფლება: გაეცნოს ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას; წარუდგინოს ხელმძღვანელობას წინადადებები მის ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის; მიიღოს სტრუქტურული ერთეულებიდან მისი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები; მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის.

2. დასაქმებული პირი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. მის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება; შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქვევის წესების, ეთიკის კოდექსის დაცვა; ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა; არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

### მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბნსუ-ში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის დებულება;
3. ბნსუ-ს საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი და პერსონალი ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების განცხობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და იურისტი;
5. ამ დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;

7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

### ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი